

ადგილობრივი თვითმმართველობა

მოქალაქის მზარდი ცნობიერება და სწრაფვა ადგილობრივი თვითმმართველობისაკენ

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთობა



ტოკიოს მეტროპოლიტენის მთავრობის შენობები

იაპონიის ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა ეფუძნება ორ მთავარ პრინციპს: პირველი უზრუნველყოფს ეროვნული მთავრობისგან დამოუკიდებელი ადგილობრივი საჯარო ორგანიზაციის დაფუძნებას და მეორე კი მოიცავს "მოქალაქეთა თვითმმართველობის" იდეას. ადგილობრივ საჯარო დაწესებულებებში მოქალაქეთა საქმიანობა განსაზღვრულია დონეების მიხედვით. იაპონიის ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომამდე, ხოლო პირველი იდეა გაჩნდა ადგილობრივი ორგანიზაციების კონცეფციიდან. მოქალაქეთა თვითმმართველობის კონცეფციის ინტერესი გაიზარდა ომის დასრულებისთანავე.

იაპონიის ფუნდამენტური პრინციპები ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ჩამოყალიბებულია „ადგილობრივი ავტონომიის შესახებ“ კანონის (*ჩიჰო ჯიჩი კო*) სახით, რომელიც განსაზღვრავს სამართლებრივ პრინციპებს ადგილობრივი ავტონომიებისთვის იაპონიის კონსტიტუციის VIII მუხლის შესაბამისად.

კანონი „ადგილობრივი ავტონომიის შესახებ“ აკონკრეტებს ადგილობრივი საჯარო პირების ტიპებსა და მათ საორგანიზაციო სტრუქტურას, ასევე არეგულირებს მათი საქმეების ადმინისტრირებას. ამავე კანონით განისაზღვრება ურთიერთობის საბაზისო ნორმები ადგილობრივ საჯარო პირებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

იაპონიის ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნდამენტურ საჯარო პირებად სახელდება ქალაქები, დაბები და სოფლები (*შიჩიოსონ*), ტოკიოს სპეციალური უბნები (*ტოკუბეცუკუ*) და პრეფექტურები (*ტოდოფუკენ*). 2013 წლის იანვრის მონაცემებით იაპონიაში არის სულ 789 დიდი ქალაქი (*ში*), 746 პატარა ქალაქი (*ჩიო*) და 184 სოფელი (*სონ*), მთლიანად 1, 719 *შიჩიოსონი*. თუ ამას დავამატებთ ტოკიოს 23 უბანს, მაშინ ეს რიცხვი 1,742-მდე გაიზარდება. იაპონიას აქვს 47 პრეფექტურა: 1 ტო (*ტოკიო ტო*), 1 დო (*ჰოკაიდო*), 2 ფუ (*ოსაკა ფუ* და პრეფექტურის გადასახადების ვალდებულების მქონე მუნიციპალიტეტი - *კიოტო ფუ*) და 43 *კენ*.

ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანიზაცია არის შინაგან საქმეთა და კომუნიკაციის სამინისტრო, რომელიც ზედამხედველობას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობას სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სამი ბიუროს საშუალებით. ადგილობრივი ადმინისტრაციის ბიუროს ეხება ისეთ საკითხებზე ზრუნვა და

მათი მოგვარება, როგორცაა: ლოკალიზაცია, მუნიციპალიტეტის კონსოლიდაცია, ადგილობრივი საჯარო მოხელეების სისტემატიზირება, საარჩევნო სისტემის საკითხი, ქალაქის დაგეგმარება, აგრეთვე, კონკრეტულ ტერიტორიაზე ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარების საკითხები. ადგილობრივი საფინანსო ბიურო არეგულირებს ადგილობრივ საფინანსო სისტემას, აკონტროლებს ფინანსურ გეგმებს, გადასახადებს, ობლიგაციებს, ადგილობრივ ფინანსურ მდგომარეობასა და ადგილობრივ საჯარო საწარმოებს. ადგილობრივი გადასახადების ბიურო კი პასუხისმგებელია გადასახადებზე, უძრავ ქონებასა და სხვა საკითხებზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კონსტიტუციის და ადგილობრივი ავტონომიის კანონის თანახმად, იაპონიის ადგილობრივმა მმართველობებმა მათი ავტონომიისა და თვითმმართველობის ფართო აღიარება მოიპოვა ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობის როგორც ფორმალურ, ისე ოპერატიულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მმართველობები განიხილებიან ავტონომიურ ერთეულებად, მათი დაფინანსების წყარო და ძირითადი მიმართულებები მაინც ცენტრალური ხელისუფლებიდან მოდის, რადგან ცენტრალური მთავრობა ახორციელებს ამ უწყებათა შესაბამის კონტროლს.

2000 წლის აპრილში დეცენტრალიზაციის საკანონმდებლო პაკეტი ხელახლა გადაიხედა და შესაბამისად, მოხდა ადმინისტრაციული ოპერაციების რიგი საკითხების დელეგირება ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივ მმართველობებზე. იმისათვის, რომ შეემცირებინათ ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი ადგილობრივ ადმინისტრაციაზე, განაახლეს კანონი ადგილობრივი ავტონომიების შესახებ. ადმინისტრაციული მომსახურების დონისა და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და ამ გზით ადგილობრივი მთავრობის ხელშესაწყობად და ისეთი პრობლემების გადასაჭრელად, როგორცაა მოსახლეობის დაბერება და მწვავე ფისკალური მდგომარეობა, ეროვნული მთავრობა აქტიურად უწყობს ხელს დიდი და პატარა ქალაქებისა და სოფლების უფრო დიდ ერთეულებად კონსოლიდაციას.

2002 წლის აგვისტოში მთავრობამ განახორციელა საბაზისო საცხოვრებელი რეგისტრაციის ქსელური სისტემა. ეს სისტემა აკავშირებს საბაზისო საცხოვრებელ რეესტრს, რომელიც ემსახურება ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციულ საქმიანობასა და არის მისი ძირითადი საფუძველი. აღნიშნული სისტემის მიზანია ადმინისტრაციული ეფექტურობის გაზრდა და ყველა მოქალაქის მომსახურების უმაღლეს დონეზე აყვანა.

ადგილობრივი მთავრობები

ადგილობრივი ავტონომიის კანონის თანახმად, პრეფექტურებს მართავენ გუბერნატორები (*ჩიჯი*), ხოლო ქალაქებს და დაბებს მართავს ქალაქის მერი. ეს მოხელეები წარმოადგენენ ადგილობრივ მთავრობას საგარეო ურთიერთობების საკითხებში და უკავიათ აღმასრულებლის თანამდებობა არჩეული ადგილობრივი საბჭოსა და ადგილობრივი საკითხების სადისკუსიო ფორუმისგან განსხვავებით. გუბერნატორები და ქალაქის მერი ირჩევა პირდაპირი არჩევნების წესით ოთხწლიანი ვადით და ისინი პასუხისმგებელი არიან მხოლოდ ადგილობრივი ამომრჩევლის წინაშე.



ტოკიო მეტროპოლიტენის საბჭო (ფოტო ტოკიოს მეტროპოლიტენის საბჭოსგან)

ადგილობრივი ასამბლეები შედგება ადგილობრივი ამომრჩევლების მიერ არჩეული წევრებისგან. სხვა ფუნქციებთან ერთად, საბჭო უფლებამოსილია შეადგინოს, გააუქმოს ან განსაზღვროს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტი და მოაწესრიგოს ანგარიშები.

ადგილობრივი საბჭოები საკუთარი ან ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივით აკონტროლებენ ადგილობრივი ორგანოების მიერ ჩატარებულ სამუშაოებს. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შექმნილი კომისიის საშუალებით ხორციელდება აუდიტორული საქმიანობა და მონაწილეობის მიღება მნიშვნელოვანი თანამდებობის პირების (ვიცე-

გუბერნატორი, ქალაქის მერის მოადგილე და ა.შ.) შერჩევის პროცესში. ამგვარ საკითხზე ძირითადად მუშაობს მუდმივი კომისია (*ჯონინ იინკაი*).

ადგილობრივი ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს სათათბირო და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები და ადგილობრივი საბჭოები აღმასრულებელ ორგანოებთან ერთად, რომელიც თავმოყრილია გუბერნატორებისა და ქალაქის მერების გარშემო. აღსანიშნავია, რომ მიუღებელია საბჭოების მიერ წარმოდგენილი დამოუკიდებელი ინიციატივები და საქმიანობა, რადგან განსახილველი საკითხები ინიცირებული და წარმოდგენილია კონკრეტულად გუბერნატორის ან ქალაქის მერის სამსახურების მიერ.

ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელთა არჩევა ხდება მოქალაქეების მიერ პირდაპირი არჩევნების გზით, რაც რადიკალურად განსხვავდება პრემიერმინისტრის არაპირდაპირი გზით არჩევის წესისგან, რომლის მიხედვითაც პრემიერმინისტრს პარლამენტის წევრები ირჩევენ. ადგილობრივი ასამბლეები, რომლებიც ნებაყოფილობითი და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებია და ადგილობრივი ხელისუფლების მეთაურები, რომლებიც ასევე აღმასრულებელი პირები არიან, ირჩევიან ადგილობრივი მოქალაქეების მიერ და გარკვეული სახით ცენტრალური ხელისუფლების დუბლირებას ახდენენ. ასეთი დემოკრატიული მოდელი ხელს უწყობს თვითმმართველობის ორგანოების, საბჭოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელების ურთიერთკონტროლს.

საჯარო სტრუქტურაში ან პრეფექტურის განსაზღვრულ განყოფილებაში დასაქმებული პირ(ებ)ის ოფიციალური სახელწოდებაა ადგილობრივი საჯარო მოხელე. აღნიშნული სახელწოდება გამოიყენება ჩვეულებრივი საჯარო პოზიციების აღსანიშნავად, გარდა ისეთი გამორჩეული მაღალი თანამდებობებისა, როგორცაა გუბერნატორი, ვიცე გუბერნატორი, ქალაქის მერი, მერის მოადგილე, მთავარი ბუღალტერი და ა. შ. ადგილობრივი საჯარო მოხელეების სამსახურში მიღება, ანაზღაურება და სამუშაო პირობები რეგულირდება ეროვნულ დონეზე არსებული რეგულაციების შესაბამისი კანონით "ადგილობრივი საჯარო მოხელის შესახებ".

მეგაპოლისების სისტემა

მეგაპოლისების განსაკუთრებული ადმინისტრაციული საჭიროებიდან გამომდინარე, ადგილობრივი ავტონომიების შესახებ კანონი აწესებს სპეციალურ რეგულაციებს ისეთი ქალაქებისთვის, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება ჩვეულებრივი ქალაქების, დაბებისა თუ სოფლებისგან. მთავრობის ბრძანებულებით, მეგაპოლისები თანმიმდევრულად იყოფა სპეციალურ კატეგორიად, რომელთა შორის უდიდესია "გამოყოფილი ქალაქი" (*შეირეი შიტეი ტომი*), სადაც მოსახლეობის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 000 (თითქმის ყველა აღემატება 1 000 000-ს) მოსახლეს. 2012 წლის აპრილის მონაცემების მიხედვით არსებობდა 20 ასეთი ქალაქი (ამ კატეგორიას მიეკუთვნება ასევე იაპონიის დედაქალაქი, მეტროპოლიტან ტოკიო) საპორო, სენდაი, საიტამა, ჩიბა, იოკოჰამა, კავაძაკი, შაგამიჰარა, ნიიგატა, შიძუოკა, ჰამამაცუ, ნაგოია, კიოტო, ოსაკა, საკაი, კობე, ოკაიამა, ჰიროშიმა, კიტა კიუშუ, ფუკუოკა და კუმამატო.

აღნიშნულ ქალაქებში არსებული საჯარო აქტივობების 18 კატეგორიაზე (სოციალური უზრუნველყოფა, ჰიგიენა, ურბანული დაგეგმარება და ა.შ.) მეტი, წესისამებრ, პრეფექტურის ადმინისტრაციას ექვემდებარება და გუბერნატორია უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება ქალაქის შესაბამისი ადმინისტრაციული საკითხების შესახებ. დამატებითი სამართლებრივი უფლებამოსილებები გადმოსცემენ პრეფექტურული პრეფექტურული კონტროლის ელენმენტებს ამ ქალაქებს, რის შედეგადაც ისინი პრეფექტურას უთანაბრდებიან პრაქტიკული საჭიროებების დროს. თითოეული ქალაქი დაყოფილია რამოდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულად, ქალაქის ადმინისტრაციული სამუშაოების ჩატარების თვალსაზრისით. აგრეთვე, თითოეულ გეოგრაფიულ ქვეერთეულს აქვს საკუთარი სამმართველო, სადაც ამ დანაყოფის ხელმძღვანელი და სხვა საჯარო მოხელეები მუშაობენ.

მეგაპოლისთა კატეგორიას განეკუთვნება მეორე "ძირითადი ქალაქი" (*ჩიუკაკუ ში*), სადაც მოსახლეობა 300 000-ზე მეტია და თუკი მოსახლეობა 500 000-ზე ნაკლები იქნება ამ შემთხვევაში ქალაქის მიწის ფართობი მინიმუმ 100 კვადრატული კილომეტრი უნდა იყოს. ძირითადი ქალაქების რიცხვმა 2013 წლის აპრილისთვის შეადგინა 42, რომლებზეც თითქმის იგივე უფლებამოსილება ვრცელდება, რაც ე. წ. „გამოყოფილ ქალაქებზე“, გარდა იმ ფუნქციებისა, რომელიც პრეფექტურის დონეზე გაცილებით უფრო ხშირად და ეფექტურად ხორციელდება.

მეგაპოლისთა მესამე კატეგორიას განეკუთვნება "განსაკუთრებული ქალაქი" (*ტოკურეი ში*), რომლის მოსახლეობის რაოდენობაც უნდა არემატებოდეს 200 000 ადამიანს. 2013 წლის აპრილისთვის ასეთი განსაკუთრებული ქალაქების რაოდენობა იყო 40. განსაკუთრებულ ქალაქებს უნდა ახასიათებდეთ ძირითადი ქალაქების მსგავსი სუვერენიტეტი გარემოს დაცვის საკითხებსა და ქალაქის დაგეგმარების ადმინისტრირების სფეროში.

ტოკიოს მეგაპოლისი დაყოფილია შიდა ერთეულებად, სადაც შედის ტოკიოს 23 რაიონი (*კუ*), ადრე ამ რაიონებში არსებულ ადმინისტრაციულ და ფისკალურ ორგანოებზე ბევრი შეზღუდვა არსებობდა სხვა დანარჩენ ქალაქებთან (*ში*) შედარებით, თუმცა 2000 წლის აპრილში გან-

ხორციელებული რეფორმების შედეგად რაიონებს მიენიჭათ მსგავსად დიდი ქალაქებისა ადგილობრივი საჯარო პირების სტატუსი.

ადგილობრივი საჯარო ფინანსები

კაბინეტი ანგარიშვალდებულია ყოველწლიურად განიხილოს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების აღმრიცხველი დოკუმენტი და წარუდგინოს ინფორმაცია ადგილობრივ მთავრობას შემდეგი ფისკალური წლისთვის. აღნიშნული დოკუმენტი არის საჯარო და წარედგინება პარლამენტს. დოკუმენტი წარმოადგენს ერთგვარ ფინანსურ გეგმას, რომლითაც ხელმძღვანელობენ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელ საფინანსო ოპერაციებს. 1999 ფისკალური წლის მონაცემების მიხედვით, ადგილობრივი ფინანსების მაჩვენებელია 101.6 ტრილიონ იენს მიაღწია.

მომდევნო წლებში ამ მაჩვენებელია ყოველწლიურად დაიწყო კლება და 2012 ფისკალური წლისთვის 81.8 ტრილიონი იენი შეადგინა. დაახლოებით ქვეყნის მთლიანი დანახარჯის 60%-ის ათვისება ხდება ადგილობრივ ხელისუფლებათა მეშვეობით.

ადგილობრივი გადასახადები (*ჩიკოძეი*), რომელიც დაწესებულია როგორც ადგილობრივი ხელისუფლების დამოუკიდებელი შემოსავალი, გროვდება ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ ადგილობრივი მოსაკრებლების ფარგლებში. ერთდროულად არსებობს როგორც ცალკე პრეფექტურის, ასევე დასახლებების, ქალაქებისა და სოფლების მოსაკრებელი. ორივე ტიპის მოსაკრებელი დაყოფილია განსაკუთრებული გადასახადების ქვეკატეგორიებად, რომელიც გამოიყენება წინასწარ განსაზღვრული მიზნებისთვის და ცალკე არსებობს ჩვეულებრივი მოსაკრებელი, რომლის დანიშნულება არ არის წინასწარ განსაზღვრული. ადგილობრივი სისტემა სამომხმარებლო გადასახადებისთვის შეიქმნა 1997 წელს, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების დამატებითი შემოსავლის წყარო და მიზნად ისახავდა ადგილობრივი ხელისუფლების დამოუკიდებლობის ხელშეწყობას.

2004–6 წლებში ეტაპობრივად განხორციელდა ე. წ. "სამმაგი რეფორმა" ადგილობრივი საგადასახადო სისტემის ფარგლებში. ამის შედეგად ადგილობრივმა გადასახადებმა იწყო თანმიმდევრული ზრდა და 2007 ფისკალური წლის ბოლოსთვის შეადგინა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაწესებული გადასახადების 43.3%-ი. დღეს იაპონიაში არასაკმარისი თანხის დაბალანსება ხდება სხვადასხვა წყაროს საშუალებით, კერძოდ, ადგილობრივი გადანაწილებისა და ტრანსფერის გადასახადებით (*ჩიკო კოფუძეი* და *ჩიკო ჯოიოძეი* - 17.8%), ეროვნული ხაზინის ხარჯებით (*კოკო შიშიუცუკინ* - 11.2%) და ადგილობრივი ხელისუფლების ობლიგაციებით (*ჩიკოსაი* - 11.8%).

ცენტრალური ხელისუფლება მთელს ქვეყანაში ანაწილებს ადგილობრივ გადასახადებს ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის ფინანსური ადმინისტრირების თანაფარდობის შესანარჩუნებლად. ფულადი თანხის სახით გამოიყოფა საერთო შემოსავალი, რომლის გადანაწილება ხდება ადგილობრივი ხელისუფლების შეხედულებისამებრ.

სამ ეტაპად განხორციელებული რეფორმის შედეგად, ნაწილობრივ შემცირდა ადგილობრივი გადასახადის გადანაწილება (უხეშად რომ ვთქვათ, დაახლოებით 5.1 ტრილიონი იენით). მეორეს მხრივ, განხორციელდა დაახლოებით 3 ტრილიონი იენის ტრანსფერი ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივ ხელისუფლებაში საშემოსავლო გადასახადის შემცირებით (ეროვნული გადასახადი) და მაცხოვრებელთა ინდივიდუალური გადასახადის (ადგილობრივი გადასახადი) გაზრდით. განხორციელდა, ასევე, ხაზინის სუბსიდირების რეფორმა, და შედეგად მოხდა 4.7 ტრილიონი იენის შემცირება. რეფორმა, ასევე, ითვალისწინებდა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის წარმოქმნილი უთანხმოების განმარტებას კონკრეტულად იმ საზოგადოებრივ პროექტებში მონაწილეობის თვალსაზრისით, რომელიც უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლდება და რაც ადგილობრივი ხელისუფლების მტკიცე მოთხოვნა იყო. ამგვარ პროექტებში ადგილობრივი თვითმმართველობის კონტრიბუციამ 2011 წლის ფისკალური წლისათვის ჯამში 641.5 მილიარდი იენი შეადგინა.

მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება

იაპონიის ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს დებულება, რომლის თანახმადაც პირდაპირი დემოკრატიული პრინციპები არ განიხილება ეროვნულ დონეზე. მაგალითად, რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 2%-ის ხელმოწერების შეგროვების შემთხვევაში, რეზიდენტებს აქვთ კონკრეტული ბრძანებულების მიღების, შეცვლის ან გაუქმების უფლება. ანდა, ხელმოწერების იგივე პროცენტული მაჩვენებლის შემთხვევაში ადგილობრივ რეზიდენტებს აქვთ უფლება მოსთხოვონ ადგილობრივ აუდიტორულ კომისიას ჩაატარონ რიგი სამუშაოები და შეამოწმონ ადგილობრივი საჯარო პირისა ან არჩეული ლიდერის საქმიანობა. იმ შემთხვევაში, თუკი შეგროვდება რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ერთი მესამედი, შესაძლებელია პეტიციის წარდგენა ადგილობრივ საარჩევნო ადმინისტრაციის კომისიაში ადგილობრივი საბჭოს დაშლის, არჩეული ლიდერის ან მოხელის დათხოვნის მოთხოვნით. ზემოხსენებული პეტიციის მოთხოვნების გარდა, ადგილობრივ რეზიდენტებს კონსტიტუციის 95-ე მუხლის თანახმად აქვთ უფლება პირდაპირი ხმის მიცემის წესით კენჭი უყარონ ადგილობრივი საჯარო პირისთვის განკუთვნილ სპეციალურ კანონებს.

პოლიტიკური გარემოსა და ადგილობრივი პოლიტიკური ცნობიერების ირგვლივ მომხდარი ცვლილებების შედეგად ადგილობრივი მთავრობების მზარდი რიცხვი აყალიბებს განკარგულებას ხმის მიცემის შესახებ, რაც უფლებას აძლევს ამომრჩეველს თქვას „კი“ ან „არა“ მნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილების მიღების დროს. ეს ტენდენცია ეფუძნება არა ადგილობრივ ავტონომიას, არამედ კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებას, რომ განმტკიცდეს ადგილობრივი განკარგულებანი, როგორცაა დღესდღეობით ბირთვული ელექტროსადგურების მშენებლობა, ზღვის სანაპირო ზოლზე არსებული ჭაობების ამოშრობა, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების არსებობის გაგრძელება და მყარი ნარჩენების გადამამუშავებელი მოწყობილობების აგება.

ადგილობრივი მთავრობების მიმართ რეზიდენტების მიერ გამოთქმული საჩივრების დასაკმაყოფილებლად სისტემაში არსებობს ადგილობრივი ომბუდსმენის თანამდებობა, რომელიც აღჭურვილია ადგილობრივი ადმინისტრაციის ფარგლებში გამომძიებლის უფლებამოსილებით.



პირველად ანალოგიური სისტემა შეიქმნა 1990 წელს კანაგავას პრეფექტურის ქალაქ კავასაკიში. ომბუდსმენს აქვს მნიშვნელოვანი ბერკეტები, რომ აწარმოოს გამოძიება გასაჩივრების შემთხვევაში და გაარკვიოს მიზეზები სისტემური დეფექტებისა ან ადმინისტრაციული შეცდომების შემთხვევაში. ომბუდსმენი ამგვარი პრობლემების მოსაგვარებლად თავის მოსაზრებებს ასაჯაროვებს და ადგილობრივ ადმინისტრაციულ ლიდერს აძლევს სათანადო რეკომენდაციებს მათ მოსაგვარებლად.